საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5048
06/09/2022

5048-21-2-202209061704

**შპს „პეტროლჰაბს“**
**მის:** ქ. თბილისი, ნ. რამიშვილის N33, ბინა N25

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 22 აგვისტოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N4203 განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღთაკლიაში ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 10 აგვისტოს N 252/ს ბრძანებით დამტკიცებული N49 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებდა პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების საფუძველზე ნულოვანი ალტერნატივის უარყოფის საკითხი. ამასთან, გზშ-ის ეტაპზე **უმოქმედობის ალტერნატივა განხილული უნდა ყოფილიყო სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და ეკოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე, ასევე მითითებული ყოფილიყო საქმიანობის განუხორციელებლობის (უმოქმედობის) შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერა.** წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებული არ არის და ალტერნატივების თავში დუბლირებულია სკოპინგის ეტაპზე წარმოდგენილი ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ტერიტორიის ორი ალტერნატივა და აღნიშნულია, რომ სხვადასხვა კრიტერიუმების (მათ შორის: საპროექტო ტერიტორიის ფუნქციონალური სტატუსი, მისასვლელი გზები, **წყალმომარაგების,** გაზმომარაგებისა და ელექტრომომარაგების სისტემების სიახლოვე, საპროექტო ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა და სხვა.) გათვალისწინებით შერჩეული იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღთაკლიაში არსებული მიწის ნაკვეთი. თუმცა, დოკუმენტის 4.3.2.6 ქვეთავის თანახმად, **„ობიექტის სიახლოვეს წყალსადენის ქსელი არ არსებობს“.** ამასთან, დოკუმენტში აღწერილი და დახასიათებული არ არის პროექტის განხორციელების მეორე ალტერნატიული

ტერიტორია, შესაბამისად, აღნიშნულ თავში მოცემული ინფორმაცია არ იძლევა წარმოდგენილი ალტერნატივების ჯეროვნად აღქმისა და შეფასების საშუალებას. შესაბამის დასაბუთებას საჭიროებს შერჩეული ალტერნატივის სასარგებლოდ მოყვანილი არგუმენტები;

- გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული არ არის სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი გარკვეული საკითხები. მათ შორის, გზშ-ის ანგარიშის ზოგიერთი ქვეთავის შინაარსობრივი ნაწილი კვლავ **წარმოდგენილია აწმყო დროში** (იმის მიუხედავად, რომ გზშ-ის ანგარიში დაგეგმილ საქმიანობას ეხება), რაც საჭიროებს კორექტირებას და დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის 2.1 ქვეთავში წარმოდგენილი „საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა“ საჭიროებს არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნული საკითხი აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს დოკუმენტის სხვა ნაწილებშიც; მათ შორის დოკუმენტის მე-7 და 252-ე გვერდებზე ადამიანთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის საფუძვლად მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი. აღნიშნული ჩანაწერები საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის მე-16 გვერდზე აღნიშნულია, რომ ნავთობსაცავი შედგება ლითონის კონსტრუქციის ცილინდრული 10 ვერტიკალური (მათ შორის 8 ცალი - 1000 $მ^3$ ტევადობის და 2 ცალი 500 $მ^3$ ტევადობის **დიზელის საწვავის)** რეზერვუარისაგან. აღნიშნული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის დოკუმენტის სხვა ნაწილებში წარმოდგენილ ინფორმაციასთან და საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობბაზის მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მოედნის ფართობი 21000 $მ^2$-ს შეადგენს, თუმცა დოკუმენტში წარმოდგენილია სამშენებლო მოედნის მხოლოდ ერთი წერტილის კოორდინატი, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- 4.3.2.7 ქვეთავში საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერ ფენასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე არ არის წყალმომარაგება-კანალიზაციის, ბუნებრივი აირის და ელექტრომომარაგების შიდა ქსელები, თუმცა დოკუმენტის 4.4.2.8. ქვეთავის თანახმად, საპროექტო საწარმოს პროექტის მიხედვით **ელექტროენერგიით მომარაგება ხორციელდება** ტერიტორიაზე არსებული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან. აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის 106-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „**1922 წლის მაისის თვეში,** ინდივიდუალური მეწარმე „ზ. დევდარიანი“-ს მიერ, შპს „პეტროლჰაბი“-ს დაკვეთით საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები“, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- 7.8.2. ქვეთავში აღნიშნულია, რომ „საწარმოს **რეკონსტრუქცია** იგეგმება უკვე ათვისებულ ტერიტორიაზე“, აგრეთვე, დაგეგმილი საქმიანობა მოხსენიებულია, როგორც „საწარმოს **რეკონსტრუქციის** და ექსპლუატაციის პროექტი“ დოკუმენტის მე-9 თავშიც, რაც არ შეესაბამება დოკუმენტის სხვა თავებში წარმოდგენილ ინფორმაციას და საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშს დართულ ნარჩენების მართვის გეგმაში აღნიშნულია, რომ **„შპს "ველი"** ნავთობპროდუქტების საცავის მეშვეობით უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტების მიღებას, შენახვასა და გაცემას“. აღნიშნული საჭიროებს კორექტირებას;

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული გზშ-ის ანგარიშისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო